ხელშეკრულება N10-290422-01

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. გარდაბანი **აპრილი, 2022 წელი**

შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (შემდგომში - „**შემსყიდველი**“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ჯაბა ხმალაძის** სახით და **შპს „გუდბილდ+“** (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან ფხაკაძის** სახით, ორივე ერთად წოდებულნი როგორც „**მხარეები**“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია **სხვადასხვა სახის მტვერსასრუტების** (შემდგომში - „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (CPV42999100).
2. „საქონლის“ დასახელება, მწარმოებელი, მოდელი, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1865.00 (ათას რვაას სამოცდახუთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2. საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც მიწოდებული საქონლის ღირებულებას, ასევე, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი N1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის N71.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში.

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

ბ) უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

5. ხარისხი

1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დანართი N1-ში (ფასების ცხრილი) მითითებულ მონაცემებს, მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.
2. საგარანტიო ვადა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 წელი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნას სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).
3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამოასწოროს წუნი

ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

2. საქონლის მიღებას აწარმოებს: შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ტექნიკური დირექტორი - გიორგი ფრანგიშვილი.

8. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ან/და ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკურლების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტი, ხოლო, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ხელშეკურლების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის 3.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები:

3.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

4. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული საქონლის მიღებაზე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ნებისმიერი ცვლილება ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).

2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავების გადაწყვეტა

1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

2. მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინებით, იმ შემთხვევაში თუ:

ა) მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ორმხრივად ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 5 ივლისის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 (ფასების ცხრილი) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
შპს „გარდაბნის თბოსადგური“	**შპს „გუდბილდ+“**
მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2ბ	მის: ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის N71
ს/კ: 404428071	ს/კ 400240217
ტელ: +995 32 299 1201	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22; ა/ა GE86BG0000000101220411
	ტელ: 598 360 033
გენერალური დირექტორი	დირექტორი
ჯაბა ხმალაძე	**ამირან ფხაკაძე**

Gardabani TPP LLC

Digitally signed by Gardabani TPP LLC
Date: 2022.04.29 17:23:32 +04'00'

დანართი N1 (ფასების ცხრილი)

№	CPV	დასახელება	მწარმოებელი / მოდელი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	42999100	მრავალფუნქციური მტვერსასრუტი (1000 W)	KARCHER / WD 3 PREMIUM	ცალი	2	445.00	890.00
2		ჰაერშემბერი მტვერსასრუტი (2600 W)	BLACK+DECKER / BEBLV260	ცალი	3	325.00	975.00
						სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	**1865.00**

შემსყიდველი
შპს „გარდაბნის თბოსადგური“

მიმწოდებელი
შპს „გუდბილდ+“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი **აპრილი, 2022 წელი**

ხელშეკრულება N10-290422-01

ვადასტურებთ, რომ შპს „გუდბილდ+“ მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ჯაბა ხმალაძე _____
გენერალური დირექტორი

გიორგი ფრანგიშვილი _____
ტექნიკური დირექტორი

გურამ ბიკაშვილი _____
ოპერაციული საამქროს უფროსი, ტექნიკური დირექტორის
მოადგილე/მთავარი ინჟინერის მოვალეობის შემსრულებელი

ირაკლი კანდელაკი _____
ფინანსური დირექტორი

მარიკა კიკნაძე _____
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი

ნათია ღლონტი _____
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ვახტანგ ზარნაძე _____
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ვახტანგ პაპიაშვილი _____
მექანიკური საამქროს უფროსი

ვაჟა ფათრეკაშვილი _____
ელექტრო საამქროს უფროსი

ქეთევან პეტრიაშვილი _____
წყლის გამწმენდი და ქიმიური უფროსი

ლევან ფულარიანი _____
შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი კოორდინატორი